საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 15ოქტომბერი,2012 წელი

გადაწყვეტილება № 1

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

,,ზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 17-ე მუხლის და 71-ე მუხლის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის № 14 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1.1. წესდების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„თავისი მიზნების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს უფლება აქვს შექმნას კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები/კურსები, ასევე, ეწეოდეს საგამომცემლო საქმიანობას".

1.2. წესდების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი". სრული სახელწოდების გარდა, სამართლებრივ და სხვა სახის ურთიერთობებში ასევე გამოიყენება შემოკლებული სახელწოდება: „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი". უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: 6000, ბათუმი, საქართველო".

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი